



შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს

თბილისი, მიცკევიჩის #18

მომხმარებელი.ge

www.moxmarebeli.ge

მოგმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ვებ-პორტალზე www.moxmarebeli.ge მომხმარებელმა გვთხოვა კომენტარი გაზეთ ”კვირის პალიტრაში“, მისამართზე <http://old.kvirispalitra.ge/archive/2008/5-2008/htm/politika%20da%20sazogadoeba-2.htm>, გაზის მახასიათებლებთან და მრიცხველებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მასალის თაობაზე (იხ. დანართი). კერძოდ, მომხმარებელს აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა გაზის არასტანდარტული (დაბალი) წნევით მიწოდების გამო გაზის მრიცხველების ჩვენება არასწორი (მომხმარებულ გაზთან შედარებით გაზრდილი) იყოს.

მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების/სტანდარტების მიხედვით რა წნევის გაზი უნდა მიეწოდებოდეს საბოლოო მომხმარებელს (საცხოვრებელ სახლს/ბინას)?
- რა წნევის გაზი მიეწოდება თქვენს საბოლოო მომხმარებელს: საცხოვრებელ სახლებს/ბინებს (გთხოვთ მიუთითოთ წნევის ინტერვალი)?
- წნევის რა ინტერვალში უზრუნველყოფს თქვენს მიერ დამონტაჟებული გაზის მრიცხველები მომხმარებელი გაზის სწორად აღრიცხვას? გაზომვის რა ცდომილება არის შესაძლებელი, თუკი მიწოდებული წნევა დაშვებული წნევის ინტერვალს სცდება (ნაკლებია ქვედა ზღვარზე ან მეტია ზედა ზღვარზე)?

საკითხს აშუქებს

გთხოვთ აგრეთვე მოგვაწოდოთ ტექნიკური დოკუმენტაცია, სადაც აღწერილია თქვენს მიერ დამონტაჟებული საყოფაცხოვრებო გაზის მრიცხველების ტექნიკური მახასიათებლები და მუშაობის პრინციპი.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ აღნიშნული საკითხი შუქდება ჩვენს ვებ-პორტალზე www.momxmarebeli.ge. ინფორმაციაში კონკრეტულად არის მითითებული თქვენი კომპანიის დასახელება. იმისთვის, რომ ასეთმა გაშუქებამ თქვენი ბიზნეს-ინტერესები უსამართლოდ არ დააზიანოს, ჩვენ გაძლევთ საშუალებას დაიცვათ თქვენი ინტერესები შემდეგი შესაძლებლობებით:

- თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ვებ-პორტალზე თქვენს მიმართ გამოთქმული კრიტიკა არასწორია, თქვენ შეგიძლიათ გამოთქვათ ეს მოსაზრება იქვე, კომენტარების საშუალებით. ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული მთელი ინფორმაცია უცვლელად, და ჩვენს მიერ გაშუქებული ინფორმაციის თანაბრად, იყოს ხელმისაწვდომი მომხმარებლებისთვის;

ამავე დროს, გთხოვთ, ჩვენთან ურთიერთობაში შემოიფარგლოთ მხოლოდ გამჭვირვალე მეთოდებით: www.momxmarebeli.ge ვებ-პორტალზე ან ფეისბუქის შესაბამის გვერდზე (<http://www.facebook.com/momxmarebeli.ge>) კომენტარებით.

პატივისცემით,

ლია თოდუა 
პროექტის დირექტორი

დანართი: 2 გვ

